# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA**

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1 ტელ/ფაქსი 412: 29-19-19


## აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №1-043

აბაშა, 2020 წლის 19 აგვისტო

## ბესიკ ხომერიკის გადაყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო უზრუნველყოფის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბესიკ ხომერიკი გადაყვანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბესიკ ხომერიკის დანიშვნის შესახებ” აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 მარტის №1-015 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი